1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 27 (187) 29 სექტემბერი 1962 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

414. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან კ. მ. ყულიევის გათავისუფლების შესახებ.
415. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. გ. კულაჟენკოვის დანიშვნის შესახებ.
416. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადებისაგან გათავისუფლების ვადების გადატანის შესახებ.
417. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების 13 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

418. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ დ. თ. ალექსეევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
419. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ პ. დ. კორინისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
420. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მსახიობ ა. მ. ავეტისიანისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
421. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების იმ მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომლებმაც [illegible] მეტად გამოიჩინეს თავი თბოელექტროსადგურების აგებაში, ახალი [illegible] რეგატების წარმოებასა და ათვისებაში.

422. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „ურალენერგოსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

423. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „დონბასენერგოსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

424. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „ტეპლოელექტროპროექტის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

425. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ცენტროენერგომონტაჟის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

426. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. მჟავანაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

427. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ნიკიტის სახელმწიფო ბოტანიკური ბაღის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

414 ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან კ. მ. ყულიევის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს კლიჩ მამედის ძე ყულიევი ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 სექტემბერი.
№ 452-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

415 ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. გ. კულაჟენკოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ანატოლი გიორგის ძე **კულაჟენკოვი** ტუნისის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 10 სექტემბერი.
№ 453-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

416 მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადებისაგან გათავისუფლების ვადების გადატანის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ამჟამად სსრ კავშირში ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მნიშვნელოვნად გადიდებისა და ფართო საბინაო მშენებლობის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით საბიუჯეტო ასიგნებებს, აგრეთვე იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების

გაძლიერებასთან და საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დროებით, განსაკუთრებული ცნობის გამოქვეყნებამდე, გადატანილ იქნას ვადები იმ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადებისაგან შემდგომი გათავისუფლებისა, რომლებიც გადასახადებისაგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ 1962 წლის 1 ოქტომბრიდან, და ამ გადასახადთა განაკვეთების შემდგომი შემცირების ვადები, თანახმად სსრ კავშირის 1960 წლის 7 მაისის კანონისა „მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადასახადის გაუქმების შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 სექტემბერი.

№ 497-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

417 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების 13 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების 13 მუხლის შეცვლის მიზნით მილიციის ორგანოებს დარჩეთ ის უფლება, რომ ადმინისტრაციული წესით დააჯარიმონ სასაზღვრო რეჟიმის წესების დამრღვევნი მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისადმი მიუმართავად.

ამასთან დაკავშირებით „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომ შეზღუდვის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების 13 მუხლის 1 ნაწილს (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წელი, № 35, მუხლი 368) სიტყვების შემდეგ „საზოგადოებრივი წესრიგის" დაემატოს „სასაზღვრო რეჟიმის წესების" და ამოღებულ იქნას ამ მუხლიდან სიტყვები „სასაზღვრო დაცვის ორგანოებს — სასაზღვრო რეჟიმის წესების დარღვევაზე".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 სექტემბერი.

№ 499-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

418 გენერალ-პოლკოვნიკ დ. თ. ალექსეევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი დიმიტრი თევდორეს ძე **ალექსეევი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 486-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

419 მხატვარ პ. დ. კორინისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მხატვარ პავლე დიმიტრის ძე **კორინს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 487-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

420 მსახიობ ა. მ. ავეტისიანისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობს ავეტ მარკოსის ძე **ავეტისიანს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 488-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

421 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების იმ მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი თბოელექტროსადგურების აგებაში, ახალი ენერგეტიკული აგრეგატების წარმოებასა და ათვისებაში.

თბოელექტროსადგურების აგების, ახალი ენერგეტიკული აგრეგატების წარმოებისა და ათვისების დარგში მოპოვებული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“**:

1. ვიქტორ პეტრეს ძე **ბანიკს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს თბოენერგომონტაჟის მთავარი სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

2. მახამბეტ **ბეკბერგენოვს** — სამხრეთ ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „ჯამბულხიმპრომსტროის“ ჯამბულის თბოელექტროცენტრალის მშენებლობის მემონტაჟე ზეინკალს.

3. ივანე პავლეს ძე **ბირიუკოვს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს პრიდნეპროვსკოეს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

4. პეტრე ივანეს ძე **დრემლიუგას** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ტეპლოენერგომონტაჟის“ მმართველს.

5. ალექსანდრე სიმონის ძე **ჟურავლს** — ხარკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ზმიევის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ტურბინების უფროს მემანქანეს.

6. ანდრია თევდორეს ძე **ივანიცკის** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „ტეპლოელექტროპროექტის“ მთავარ თბოტექნიკოსს.

7. პეტრე ფოკას ძე **კომპანიჩენკოს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „იუჟტეპლოენერგომონტაჟის“ მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირს.

8. არკადი სტეფანეს ძე **ლებედევს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ცენტროელექტროსეტსტროის“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირს.

9. ვასილ ტიმოთეს ძე **მალიშევს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სიბენერგოსტროის“ კალატოზების ბრიგადირს.

10. ივანე სტეფანეს ძე **მალინოვსკის** — ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მინსკის № 3 თბოელექტროცენტრალის ტურბინების მემანქანეს.

11. ივანე კორნეის ძე **მუსტაფას** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სიბენერგომონტაჟის“ მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირს.

12. ალექსანედრე პავლეს ძე **პლახოვს** — როსტოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ქარხანა „კრასნი კოტელშჩიკის“ შემდუღებელ ამწყობს.

13. ადოლფ კაზიმირის ძე **პოლიაკოვსკის** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ურალენერგოსტროის“ მმართველს.

14. ეგორ ანდრიას ძე **სარაპულცევს** — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვერხნი-ტაგილის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ელექტრომონტიორთა ბრიგადირს.

15. პეტრე ეგნატეს ძე **უსატენკოს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ხარკოველექტროსეტსტროის“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირს.

16. პეტრე სერგის ძე **ჩერნიშევს** — ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ლენინგრადის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის მთავარ ინჟინერს.

17. ლეონიდე ალექსანდრეს ძე **შუბენკო-შუბინს** — ხარკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ხარკოვის ს. მ. კიროვის სახელობის ტურბინების ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს.

18. ვასილ თევდორეს ძე **შჩერბაკს** — სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „მოსენერგომონტაჟის“ სამუშაოთა მწარმოებელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 490-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

422 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „ურალენერგოსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ურალის თბოელექტროსადგურებში ენერგეტიკულ სიმძლავრეთა მშენებლობისა და ამოქმედების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს **სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „ურალენერგოსტროი“** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 491-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

423 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „დონბასენერგოსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დონბასის თბოელექტროსადგურებში ენერგეტიკულ სიმძლავრეთა მშენებლობისა და ამოქმედების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს **სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „დონბასენერგოსტროი“** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 492-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

424 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „ტეპლოელექტროპროექტის„ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მსხვილი თბოელექტროსადგურების დაპროექტებაში დიდი მიღწევებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვაში წარმატებებისათვის და ენერგეტიკის დარგში შეტანილი ძირეული გაუმჯობესებებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს **სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „ტეპლოელექტროპროექტი“** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 493-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

425 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ცენტროენერგომონტაჟის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თბოელექტროსადგურების მშენებლობისა და ახალი მძლავრი ენერგეტიკული აგრეგატების ამოქმედების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის

სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტი "ცენტროენერგომონტაჟი" დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 სექტემბერი.
№ 494-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

426 ამხ. ვ. პ. მჟავანაძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად მიენიჭოს ამხ. ვასილ პავლეს ძე **მჟავანაძეს სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 21 სექტემბერი.
№ 496-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

427 ნიკიტის სახელმწიფო ბოტანიკური ბაღის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ასორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და სამხრეთის მებაღეობის განვითარების დარგში დიდი დამსახურებისათვის **ნიკიტის სახელმწიფო ბოტანიკური ბაღი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 22 სექტემბერი.
№ 498-VI.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Ც Ნ Ო Ბ Ა

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1962 წლის 9 სექტემბერს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები 790-ე განსაკუთრებულ საარჩევნო ოლქში.

790-ე განსაკუთრებულ საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. ალექსი ალექსის ძე **ეპიშევი**, არმიის გენერალი.

* * *

1962 წლის 16 სექტემბერს გაიმართა კავშირის საბჭოს დეპუტატის არჩევნები ქალაქ ლენინგრადის ოქტომბრის № 50 საარჩევნო ოლქში.

ოქტომბრის № 50 საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს დეპუტატად არჩეულია ამხ. ვასილ იაკობის ძე **ისაევი**, ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

თბოელექტროსადგურების აგებაში, ახალი მძლავრი ენერგეტიკული აგრეგატების წარმოებასა და ათვისებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების 4.810 მუშა, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: ჩუვაშეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩებოკსარის ელექტროაპარატის ქარხნის მემონტაჟე ა. ი. ალექსეევა, ტრესტ „ვოლგოენერგომონტაჟის“ ვოლჟსკის სამონტაჟო უბნის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. ა. ალიოშინი, ტრესტ „დონბასენერგოსტროის“ მმართველი მ. კ. არისტოვი, ტრესტ „ტეპლოენერგომონტაჟის“ პრიდნეპროვსკოეს სამონტაჟო უბნის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ი. ვ. ბობროვიცკი, ხარკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხანა „ელექტროტიაჟმაშის“ მთავარი ინჟინერი ვ. ს. ბორუშკო, ტრესტ „სევზაპენერგომონტაჟის“ ლენინგრადის სამონტაჟო კონტორის ელექტროშემდუღებელი მ. ა. ვესელოვა, ტრესტ „სიბენერგომონტაჟის“ ტომ-უსის სამონტაჟო უბნის ზეინკალთა ბრიგადირი ვ. გ. ვილეგჟანინი, ინსტიტუტ „ტეპლოელექტროპროექტის“ ხარკოვის განყოფილების დირექტორი დ. ა. დმიტრიენკო, მოსკოვის ოლქის სახალხო მეურნეობის საბჭოს პოდოლსკის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის ხარატი მ. ე. ზახაროვი, ტრესტ „ტეპლოენერგომონტაჟის“ ზმიევის სამონტაჟო უბნის ზეინკალი ა. თ. იზიუმოვი, ხარკოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხანა „ელექტროტიაჟმაშის“ ხარატი გ. ტ. ლოვჩიკოვი, ზაპოროჟიეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პრიდნეპროვ-

სკოეს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგეტიკული ბლოკის მემანქანე ა. პ. ნაუმენკო, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ტომ-უსის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ტურბინის მემანქანე ნ. თ. პმენინიკოვი, ჩელიაბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს იუჟნოურალსკის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ქვაბების მემანქანე ი. ე. რეშეტოვი, ტრესტ „კუზბასენერგოსტროის“ ტომ-უსის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამშენებლო სამმართველოს მეექსკავატორე ვ. ი. სკუდრო, ტრესტ „ვოსტოკენერგომონტაჟის“ ანგარის სამონტაჟო უბნის ელექტროშემდუღებელი ი. მ. სტარკოვი და სხვები, სულ 64 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 364 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 1.051, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 1.776 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 1.555 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 27 (187) 29 სექტემბერი 1962 წ.

სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი. რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი

ფასი 10 კაპ.

ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 27 (187) 29 сентября 1962 г.

Редакционная коллегия

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели 8, Дом Правительства

ЦЕНА 10 КОП.

შეკვეთა № 733 ტირაჟი 2500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1962 წ. 4 ოქტომბერს

Подписано к печати 4 октября 1962 г.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР